სარეინტეგრაციო დახმარება
მსო-ს გადახდის მეთოდების ახსნა-განმარტება

- თქვენ უნდა დაეკონტაქტოთ მსო-ს ოფისს დაბრუნებიდან **სამი თვის** განმავლობაში;
- თქვენ უნდა დაამტკიცოთ თქვენი **პირადობა** (პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების საშუალებით);
- გადახდა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირებზე, რომლებსაც დაბრუნების ქვეყნებში გააჩნიათ იურიდიული სტატუსი (გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ თუ ბრუნდებით განვითარებად ქვეყნებში, მაშინ დაგჭირდებათ ბინადრობისა და მუშაობის უფლება);
- გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ თუ აპირებთ ბიზნესის დაწყებას, თქვენი ბიზნესი უნდა იყოს **კანონიერი და იურიდიულად გაფორმებული**. იზნესის რეგისტრაციის ასლი თქვენ უნდა გადასცეთ მსო-ს;
- თქვენი სარეინტეგრაციო პროექტის განხორციელებისათვის თქვენ უნდა **ითანამშრომლოთ მსო-ს თანამშრომლებთან**;
- სარეინტეგრაციო დახმარება გაიცემა მხოლოდ **დაბრუნებიდან ერთი წლის განმავლობაში** (გარდა შემთხვევებისა, როდესაც არსებობს მიგრაციის სახელმწიფო სამდივნოს სპეციალური ნებართვა);
- **სარეინტეგრაციო პროექტში შეტანილი ცვლილებები შეთანხმებული უნდა იყოს** სანამ განხორციელდება გადახდა;
- ხელშეკრულებაში აღნიშნული თანხა წარმოადგენს **მაქსიმალურ ოდენობას**. თუ თქვენ მიგრაციის სახელმწიფო სამდივნოს ან დონორის მიერ დამტკიცებული სარეინტეგრაციო პროექტის მიზნებისათვის თანხის აღნიშნულ ოდენობაზე ნაკლებს გამოიყენებთ, აგინაზღაურდებათ დახარჯული თანხის მხოლოდ ის ნაწილი, რომლის ქვითრებსაც წარმოადგენთ;
- მიგრაციის სახელმწიფო სამდივნოს ან დონორის მიერ დამტკიცებული თქვენი სარეინტეგრაციო პროექტის განხორციელებისათვის თანხის გადახდა განხორციელდება **ეტაპობრივად**;
- სარეინტეგრაციო დახმარება ძირითადად ხორციელდება **პირდაპირ პროვაიდერებზე / მომწოდებლებზე, მფლობელებზე, ექიმ-თერაპევტებზე ან აფთიაქებზე** გამომდინარე მიღებული სარეინტეგრაციო დახმარების ტიპიდან;
- თუ პირდაპირი გადახდა შეუძლებელია, თქვენ უნდა **წარმოადგინოთ ინვოისები/ქვითრები**, რომლებიც ადასტურებენ თქვენს პროექტთან დაკავშირებულ ხარჯებს. ასეთ შემთხვევაში **ხარჯები აგინაზღაურდებათ**;
- **დაუშვებელია ხელზე ფულის გაცემა**;
- გადახდა როგორც წესი წარმოებს **ადილობრივ ვალუტაში, და არასოდეს შვეიცარიულ ფრანკებში**;
- სარეინტეგრაციო დახმარების ოდენობა აშშ დოლარში დგინდება მიგრაციის სახელმწიფო სამდივნოს მიერ ყოველწლიურად;
- გადახდისას გამოიყენება იმ თვისათვის დაფიქსირებული **მსო-ს ვალუტის გადაცვლის კურსი** აშშ დოლარი => ადგილობრივი ვალუტა (იგი როგორც წესი განსხვავდება ხოლმე იმ დღის ვალუტის გადაცვლის საბანკო კურსისაგან!).

კომუნიკაცია

- **დაბრუნებამდე**: დაუშვებელია პირდაპირი კონტაქტი მსო-ს ოფისთან დაბრუნების ქვეყანაში; თქვენი ძირითადი პარტნიორი შვეიცარიაში არის დაბრუნების კონსულტანტი.
- **დაბრუნების შემდეგ**: მსო-ს ადგილობრივი ოფისი უპასუხებს თქვენს შეკითხვებს და დაგეხმარებათ პროექტის განხორციელებაში (და არა დაბრუნების კონსულტანტი შვეიცარიაში); ანუ თქვენი პარტნიორები უკვე არიან ადგილობრივი მსო-ს თანამშრომლები